N 73 10/06/2020

სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N-3

დ.ჩოხატაური **27 მაისი 2020 წელი.**

<u>თავმჯდომარეობდა:</u> ზვიად მამალაძე.

ესწრებოდნენ: კლოდი მდინარაძე, დავით ბერძენიშვილი, გივი თავაძე, ზვიადი წეროძე, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე.

არ ესწრებოდნენ: შალვა ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული:

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი;

ზაზა ცინცაძე - საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილების უფროსი.

ვალერი ყაჭეიშვილი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

3. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ.

4. საადვოკატო და დეტექტიური მომსახურების ბიუროს შექმნის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში ჭავჭავაძის ქ.N6-ში მდებარე შენობაში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.01.22.051) არსებული

გამოთავისუფლებული 46.10 კვ.მ. ფართის, 10 წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> კლოდი მდინარაძემ, ზვიად წეროძემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 7

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ცინცაძე

3. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

4. საადვოკატო და დეტექტიური მომსახურების ბიუროს შექმნის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში ჭავჭავაძის ქ.N6-ში მდებარე შენობაში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.01.22.051) არსებული გამოთავისუფლებული 46.10 კვ.მ. ფართის, 10 წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

I საკითხი:

ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

1. ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიადი მამალაძემ, ვლადიმერ სიხარულიზემ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 7

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>
ანგარიში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ცინცაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიად მამალაძემ, კლოდი მდინარაძემ

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ პროექტში შეტანილი იქნეს ცვლილებები: დაემატოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა, სრულყოფილად უნდა იყოს მიწის ნაკვეთის ფორმები (სახნავი, სათესი), ტერიტორიები და ფართობები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 7

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით გადაეცეს განსახილველად გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

III საკითხი:

დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ.

<u>**მოისმინეს :**</u>

3. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიადი მამალაძემ, კლოდი მდინარაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

მომხსენებელმა ვალერი ყაჭეიშვილმა კომისიას გააცნო საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, მათგან რამდენიმეზე გაამახვილა ყურადღება კომისიის თავმჯდომარემ,ზვიად

მამალაძემ, კერძოდ: ლომთათიძის ქუჩაზე საპრივატიზაციოდ წარმოდგენილ 5 ნაკვეთზე, ასევე კალანდაძის ქუჩაზე მდებარე 285 მ2-ზე, დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 487 მ2-ზე და აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ობიექტები წინა წელსაც იქნა წარმოდგენილი საკრებულოზე და ამოღებული იქნა ნუსხიდან, პირველ რიგში, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ობიექტები მდებარეობს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ქუჩებზე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილებია, ყურადღება გასამახვილებელია, კერძო პირთა მიერ მიწის ნაკვეთის შეძენის შემთხვევაში, რა დანიშნულების ობიექტები აშენდება და რამდენად მორგებული იქნება ის ერთიან იერსახეს. შესაბამისად, აქ უნდა იქნას გათვალისწინებული, დაბის იერსახის ერთიანი კონცეფცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთი შეიძლება გატანილი იქნას პირობიანი პრივატიზაციის ფორმით და ჩავუდოთ შესაბამისი პირობა, რაც მუნიციპალიტეტისთვის იქნება მისაღები. ასევე, კოსტავას ქუჩაზე მდებარე 214 მ2, რომელიც მდებარეობს ოზურგეთის მხრიდან მუნიციპალიტეტის შემოსასვლელში, ასევე მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ აღნიშნული და კომისია შეჯერდა, ჩამოთვლილი ობიექტები კიდევ ერთხელ ამოღებული იქნას ნუსხიდან.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 7

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N64-ში მდებარე N28.01.22.070 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობის (ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება) გასხვისების თაობაზე მერისათვის თანხმობის მიცემისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2020 წლის საპრივატიზაციო ობიექტების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ამოღებული იქნას ბიუროს მიერ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

IV საკითხი:

საადვოკატო და დეტექტიური მომსახურების ბიუროს შექმნის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში ჭავჭავაძის ქ.N6-ში მდებარე შენობაში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.01.22.051) არსებული გამოთავისუფლებული 46.10 კვ.მ. ფართის, 10 წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

<u>მოისმინეს:</u>

საადვოკატო და დეტექტიური მომსახურების ბიუროს შექმნის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში ჭავჭავაძის ქ.N6-ში მდებარე შენობაში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.01.22.051) არსებული გამოთავისუფლებული 46.10 კვ.მ. ფართის, 10 წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზვიად მამალაძემ, ზვიად წეროძემ:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართი გამოყენებული იქნას აიპებისთვის საჭიროების შემთხვევაში. კომისიას მიაჩნია აღნიშნული ფართი არ გაიცეს იჯარით და გამოტანილი საკითხი ამოღებული იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 7 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

საადვოკატო და დეტექტიური მომსახურების ბიუროს შექმნის მიზნით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში ჭავჭავაძის ქ.N6-ში მდებარე შენობაში (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.01.22.051) არსებული გამოთავისუფლებული 46.10 კვ.მ. ფართის, 10 წლის ვადით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი ამოღებული იქნას ბიუროს მიერ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზვიადი მამალაძე

კომისიის თავმჯდომარე
სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია